



საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-3/1163
03/02/2023

1163-15-3-2-202302031019



საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ბატონ რატი ბრეგაძეს

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

N6 პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების, [REDACTED]
[REDACTED] მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების
დაწყების შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო რატი,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, წლების განმავლობაში საუბრობს პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა დეესკალაციის ოთახში მოთავსების მავნე პრაქტიკაზე. ხშირია პატიმრების დეესკალაციის ოთახებში ხანგრძლივი, არამიზნობრივი

და დასჯის მიზნით მოთავსების შემთხვევები, რაც სახალხო დამცველის შეფასებით, უტოლდება სასტიკ, არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას.¹

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა კიდევ ერთი საქმე, რომლის შედეგად გამოიკვეთა, რომ პატიმრის დეესკალაციის ოთახში გადაყვანის შემდეგ, პენიტენციური დაწესებულების მორიგე თანამშრომლებს, შესაბამის ოქმებში პატიმრის მდგომარეობის შესახებ განზრახ არასწორი ინფორმაცია შეჰქონდათ, რითიც ხელოვნურად ქმნიდნენ მისი დეესკალაციის ოთახში კანონმდებლობით დადგენილი მაქსიმალური ვადით დატოვების საფუძველს. ასევე, პატიმარს არ ჩაუტარდა სამედიცინო შემოწმება დეესკალაციის ოთახში განთავსებისას და აღნიშნული ღონისძიების დასრულებისთანავე.

ფაქტობრივი გარემოებები

სახალხო დამცველს საჩივრით მიმართა N6 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულმა მსჯავრდებულმა, [REDACTED] და განმარტა, რომ 2022 წლის 25-28 ოქტომბრის პერიოდი დეესკალაციის ოთახში გაატარა.² მიუხედავად იმისა, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში, იგი იყო მშვიდად, არავითარ საფრთხეს არ უქმნიდა როგორც საკუთარ თავს, ისე სხვა პირებს, არ აპროტესტებდა მის მიმართ გამოყენებულ ღონისძიებას და ვერბალურ კომუნიკაციასაც კი არ ამყარებდა თანამშრომლებთან, რათა მათთვის არ მიეცა იმის საფუძველი, რომ შესაბამის დოკუმენტებში დაეფიქსირებინათ, რომ იგი, თითქოს იყო ადელვებული და აგრესიული, მაინც მოუწია დეესკალაციის ოთახში მაქსიმალური ვადით ყოფნა, რისი საჭიროებაც, მისი მტკიცებით, არ არსებობდა და შესაბამისად, დაირღვა მისი უფლებები.

მსჯავრდებული ასევე მიუთითებდა, რომ დეესკალაციის ოთახში შეყვანისას და ასევე, საცხოვრებელ საკანში დაბრუნებისას, იგი არ მოუნახულებია ექიმს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების მიზნით, რაც მისი შეფასებით, დაწესებულების დებულების მოთხოვნათა დარღვევას წარმოადგენდა.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, [REDACTED] წარმოადგინა N6 პენიტენციური დაწესებულების 2022 წლის 28 ნოემბრის N347433/23 წერილი, რომლის თანახმად, 2022 წლის 25 ოქტომბერს, სამედიცინო პერსონალმა იგი მოინახულა 19:14 საათზე, ხოლო, 28 ოქტომბერს - 10:11 და 22:41 საათზე.

მსჯავრდებულის მტკიცებით, 2022 წლის 25 ოქტომბერს, 19:14 საათზე, ექიმი მას საერთოდ არ შეხვედრია. ხოლო, 28 ოქტომბერს 22:41 საათზე ექიმის მიერ მისი მონახულება არ შეესაბამება დაწესებულების დებულებით დადგენილ მოთხოვნებს იმის თაობაზე, რომ

¹ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2020, 56.

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021, 41-42.

² მსჯავრდებული [REDACTED] ამჟამად, განთავსებულია N3 პენიტენციურ დაწესებულებაში.

დეესკალაციის ოთახში მოთავსებისას და ხსენებული ღონისძიების დასრულების შემდეგ, პატიმარს ექიმი დაუყოვნებლივ უტარებს სამედიცინო შემოწმებას.

მსჯავრდებულის მიერ მითითებული გარემოებების გადამოწმების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა სპეციალური პენიტენციური სამსახურის ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს მიმართა და [REDACTED] დეესკალაციის ოთახში ყოფნის ამსახველი ვიდეოჩანაწერების დაარქივება მოითხოვა.³ უწყებიდან მიღებული პასუხის თანახმად, სახალხო დამცველის აპარატის მოთხოვნა დაკმაყოფილდა და დაარქივდა შესაბამისი ვიდეოჩანაწერები.⁴

სახალხო დამცველის აპარატმა, ასევე გამოითხოვა N6 პენიტენციური დაწესებულების მიერ [REDACTED] დეესკალაციის ოთახში მოთავსებასთან დაკავშირებით შედგენილი დოკუმენტაცია.⁵ დაწესებულების მიერ აპარატს მიეწოდა მოთხოვილი მასალები.⁶

ხსენებული დოკუმენტაციის თანახმად, 2022 წლის 25 ოქტომბერს, N6 პენიტენციური დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ინსპექტორ-კონტროლიორი, [REDACTED] ადგენს ოქმს მასზე, რომ 19:10 საათზე, დეესკალაციის ოთახში მოთავსებული იქნა მსჯავრდებული [REDACTED] რომელიც არის „აღელვებული“, „იმუქრება თვითდაზიანებით“.

გარდა ამისა, სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ინსპექტორ-კონტროლიორებმა, [REDACTED] 2022 წლის 26 ოქტომბერს 09:57 საათზე, 13:50 საათზე და 17:30 საათზე, 27 ოქტომბერს 08:50 საათზე და 18:25 საათზე, 28 ოქტომბერს 08:45 საათზე და 12:37 საათზე, შეამოწმეს მსჯავრდებულ [REDACTED] მდგომარეობა, რა დროსაც იგი იყო „აღელვებული“, „აგრესიული“, „იმუქრებოდა თვითდაზიანებით“, ხოლო 28 ოქტომბერს 19:05 საათზე - „დაწყნარებული, დამშვიდებული“.

სახალხო დამცველის რწმუნებულმა დაარქივებული ვიდეომასალა დაათვალიერა და შეისწავლა დეესკალაციის ოთახში [REDACTED] მდგომარეობის შემოწმების ოქმში დაფიქსირებული გარემოებების გადამოწმების მიზნით.

სახალხო დამცველის რწმუნებულის მიერ ვიდეომასალის დათვალიერებით გადამოწმდა ზემოხსენებულ ოქმში მითითებულ დროებში, მსჯავრდებულ [REDACTED] მდგომარეობა. ეს უკანასკნელი, ყველა ზემოხსენებულ შემთხვევაში, ან იწვა საწოლზე და სავარაუდოდ, ეძინა და ამ მდგომარეობაში იმყოფებოდა უძრავად, დიდი ხნის განმავლობაში ან საწოლზე იჯდა, გამოიყურებოდა მშვიდად და მისი მხრიდან არ შეინიშნებოდა რაიმე სახის მოქმედება, საუბარი, აღელვება ან სხვაგვარი იმ ტიპის ქცევა,

³ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 10 ნოემბრის N 15-3/11270 წერილი.

⁴ სპეციალური პენიტენციური სამსახურის ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს 2022 წლის 21 ნოემბრის №340398/01 წერილი.

⁵ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 11 ნოემბრის N 15-3/11315 წერილი.

⁶ N6 პენიტენციური დაწესებულების 2022 წლის 17 ნოემბრის № 337366/23 წერილი.

რაც დაკავშირებული უნდა იყოს ადამიანის მხრიდან აგრესიის, ალელვებისა თუ რაიმე ტიპის მუქარის გამოვლენაზე ან ამგვარი რისკის არსებობაზე.

ასევე, დათვალა და დეესკალაციის სივრცეში, დერეფანში განთავსებული იმ ვიდეოკამერის ჩანაწერი, რომლის მხედველობის არეალშიც მოქცეულია N10 დეესკალაციის ოთახი.⁷ დათვალა დროს, კონკრეტულად გადამოწმდა იმ დროის ვიდეომასალა, რა დროებშიც, ზემოხსენებული დოკუმენტაციის თანახმად, სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ინსპექტორ-კონტროლიორების მიერ შემოწმდა [REDACTED] მდგომარეობა. არცერთ ზემოხსენებულ შემთხვევაში, არ იკვეთება დაწესებულების რომელიმე თანამშრომლის მხრიდან N10 დეესკალაციის ოთახთან მისვლა და მსჯავრდებულზე ვიზუალური დაკვირვება.

გარდა ამისა, ვიდეომასალის დათვალა დროებით გაირკვა, რომ დეესკალაციის ოთახში განთავსებისა და აღნიშნული ღონისძიების დასრულების შემდეგ, არ მომხდარა [REDACTED] შემოწმება ექიმის მიერ.

სამართლებრივი დასაბუთება

თუ ბრალდებული/მსჯავრდებული საფრთხეს უქმნის ან შეიძლება შეუქმნას საკუთარ ან სხვის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, შესაბამისი ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, სამედიცინო პერსონალის რეკომენდაციის ან/და დაწესებულების უფლებამოსილი მოსამსახურის პატაკის საფუძველზე გამოცემული დაწესებულების დირექტორის ბრძანებით, იგი შეიძლება განთავსდეს დაწესებულების სათანადოდ აღჭურვილ დეესკალაციის ოთახში სამედიცინო პერსონალის უწყვეტი ხელმისაწვდომობის და დაწესებულებაში უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის 24 საათიანი ვიზუალური საშუალებებით მეთვალყურეობის პირობებში.⁸ დეესკალაციის ოთახში პირის მოთავსებისა და შესაბამისი ღონისძიების დასრულების შემდეგ დაწესებულების ექიმი ბრალდებულს/მსჯავრდებულს დაუყოვნებლივ უტარებს სამედიცინო შემოწმებას.⁹

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა დისციპლინური წესდება განსაზღვრავს სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ოფიცრებისა და რიგითების დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებს, დისციპლინური სახდელების სახეებს, მოსამსახურისათვის დისციპლინური სახდელის შეფარდებისა და მოხსნის წესს.¹⁰

⁷ მსჯავრდებული [REDACTED] განთავსებული იყო N10 დეესკალაციის ოთახში.

⁸ „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N6 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №108 ბრძანება, მუხლი 27, პუნქტი 1.

⁹ იქვე, პუნქტი 4.

¹⁰ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის №144 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა დისციპლინური წესდება, მუხლი 1.

მოსამსახურის დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთი სახეა სამსახურებრივი მოვალეობის ბრალეულად შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება და მოსამსახურეთათვის დადგენილი ეთიკის ნორმების დარღვევა.¹¹

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ოფიცრებისა და რიგითების ქცევის ისეთ სტანდარტებს, რომლებიც შეესაბამება საჯარო ინტერესს.¹² კოდექსის მიზანია ისეთი ქცევის წესების დადგენა, რომლებიც ხელს შეუწყობენ მოსამსახურეთათვის პასუხისმგებლობისა და სამართლიანობის პრინციპების განმტკიცებას, სამსახურებრივ მოვალეობათა პროფესიონალურ შესრულებას, ადამიანის უფლებათა დაცვას, საზოგადოებაში ნდობისა და პატივისცემის განმტკიცებას.¹³

მოსამსახურეს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ მას საზოგადოების წინაშე აღებული აქვს საჯარო სამსახურისათვის დამახასიათებელი ეთიკური ვალდებულებები.¹⁴ მოსამსახურე ვალდებულია დაიცვას ბრალდებულის/მსჯავრდებულის, სხვა პირების საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები.¹⁵ მოსამსახურემ მასზე დაკისრებული ამოცანები უნდა შეასრულოს კანონის ფარგლებში, მიუკერძოებლად, ეთნიკური, რელიგიური, სქესობრივი თუ სხვა ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე.¹⁶ მოსამსახურის ხელმძღვანელი პირები ყურადღებით უნდა ადევნებდნენ თვალყურს, რომ მათი მოსამსახურეები სწორად ასრულებდნენ საკუთარ სამსახურებრივ მოვალეობებს. მათ უნდა გამოავლინონ და აღკვეთონ ნებისმიერი კანონსაწინააღმდეგო ქმედება.¹⁷

ყოველი მოსამსახურე, მიუხედავად მისი ადგილისა სამსახურებრივ იერარქიაში, პირადად აგებს პასუხს თავის ქმედებებზე და იმ დავალებებზე, რომლებსაც ის აძლევს მასზე დაქვემდებარებულ პირებს.¹⁸ მოსამსახურე, როგორც სახელმწიფო წარმომადგენელი, ვალდებულია წინ აღუდგეს აშკარად უკანონო ბრძანებას.¹⁹

მოსამსახურის მიერ კოდექსის მოთხოვნების დარღვევა ჩაითვლება სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევად.²⁰

¹¹ იქვე, მუხლი 2, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ა“, „ე“.

¹² საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის №144 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი, მუხლი 1, პუნქტი 1.

¹³ იქვე, მუხლი 1, პუნქტი 2.

¹⁴ იქვე, მუხლი 2, პუნქტი 1.

¹⁵ იქვე, მუხლი 2, პუნქტი 2.

¹⁶ იქვე, მუხლი 2, პუნქტი 4.

¹⁷ იქვე, მუხლი 2, პუნქტი 7.

¹⁸ იქვე, მუხლი 3, პუნქტი 3.

¹⁹ იქვე, მუხლი 3, პუნქტი 4.

²⁰ იქვე, მუხლი 6.

წინამდებარე საქმის ანალიზი

ამდენად, მოცემულ საქმეზე შეკრებილი ფაქტობრივი გარემოებების, დოკუმენტაციისა და დაარქივებული ვიდეომასალის შესწავლითა და ურთიერთშეჯერებით დგინდება, რომ N6 პენიტენციური დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ინსპექტორ-კონტროლიორებმა, [REDACTED]

[REDACTED] ს დეესკალაციის ოთახში მოთავსების შემდეგ, მისი მდგომარეობის შემოწმების შესახებ დოკუმენტაციაში არასწორი ინფორმაცია შეიტანეს, რითიც შექმნეს მსჯავრდებულის დეესკალაციის ოთახში მაქსიმალური ვადით განთავსების საფუძველი.

კერძოდ, ხსენებული პირები, დოკუმენტურად მიუთითებდნენ, რომ მათ თითქოს, კონკრეტულ საათებში შეამოწმეს [REDACTED] მდგომარეობა, რა დროსაც ეს უკანასკნელი იყო „აღღვებული“, „აგრესიული“ ან „იმუქრებოდა თვითდაზიანებით“. ვიდეომასალის შესწავლით უტყუარად დასტურდება, რომ თანამშრომლების მიერ მითითებულ კონკრეტულ დროებში, [REDACTED] მხრიდან არ იკვეთება არცერთი იმ ტიპის ქმედება (ყვირილი, ხმაურის გამომწვევი მოქმედება, ჟესტიკულაცია და სხვა), რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს პატიმრის მხრიდან მომდინარე აგრესიაზე, აღღვებაზე თუ სხვისი ან საკუთარი ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების საფრთხეზე. პირიქით, [REDACTED] თანამშრომელთა მიერ მითითებულ დროებში გამოიყურებოდა მშვიდად, რა დროსაც იგი ან იწვა საწოლზე და სავარაუდოდ ეძინა, ან საწოლზე იჯდა, რა დროსაც, მისი მხრიდან არ იკვეთებოდა ქმედება/ემოცია, რაც დამკვირვებელ პირს აფიქრებინებდა მის აღღვებასა თუ აგრესიულობაზე.

უფრო მეტიც, პენიტენციური დაწესებულების ხსენებული პირების მხრიდან ფორმალურადაც კი არ განხორციელებულა ვიზუალური დაკვირვება [REDACTED], რასაც დაარქივებული ვიდეომასალა უტყუარად ადასტურებს. კერძოდ, ვიდეომასალის დათვალიერებით დადგინდა, რომ კონკრეტულ დროებში, დაწესებულების არცერთი თანამშრომელი არ მისულა N10 დეესკალაციის ოთახთან და არ განუხორციელებია პატიმრის მდგომარეობის ვიზუალური დაკვირვება/შეფასება, მათ შორის, არც 2022 წლის 28 ოქტომბერს, 19:05 საათზე, როდესაც, დოკუმენტაციის თანახმად, [REDACTED] იყო „დამშვიდებული“.

ყურადღასადაც აგრეთვე ის გარემოებაც, რომ დეესკალაციის ოთახში განთავსებისას და ხსენებული ღონისძიების დასრულების შემდეგ, [REDACTED] არ შეუმოწმებია ექიმს. დაარქივებული ვიდეომასალით არ დასტურდება N6 პენიტენციური დაწესებულების 2022 წლის 28 ნოემბრის N347433/23 წერილში მითითებული ფაქტი, რომლის თანახმად, 2022 წლის 25 ოქტომბერს, [REDACTED] სამედიცინო პერსონალმა მოინახულა 19:14 საათზე. კერძოდ, [REDACTED] დეესკალაციის ოთახში შეყვანის მომენტში, იმყოფებოდნენ მხოლოდ დაწესებულების შესაბამის უნიფორმაში ჩაცმული მორიგე თანამშრომლები, რომლებმაც უსაფრთხოების მიზნით შეამოწმეს პატიმარი. მათ შორის, არ იმყოფებოდა ექიმი, რომელსაც უნდა შეემოწმებინა პატიმარი სამედიცინო კუთხით.

გარდა ამისა, [REDACTED] სამედიცინო შემოწმება დაუყოვნებლივ არ ჩატარებია არც დეესკალაციის ოთახიდან გამოყვანის შემდეგ. აღნიშნულს ადასტურებს თავად პენიტენციური დაწესებულების ზემოხსენებული წერილიც, რომლის თანახმად, 2022 წლის 28 ოქტომბერს, [REDACTED] ექიმმა მოინახულა 22:41 საათზე. ვიდეომასალის დათვალიერების თანახმად კი, პატიმარი დეესკალაციის ოთახიდან გამოიყვანეს 19:08 საათზე. ამდენად, ექიმის მიერ პატიმრის მოინახულება აღნიშნული ღონისძიების დასრულებიდან 3 საათზე მეტი ხნის შემდეგ, ვერ მიიჩნევა დაწესებულების დებულების მოთხოვნათა დაცვით განხორციელებულ ღონისძიებად.

დასკვნა

ამდენად, N6 პენიტენციური დაწესებულების ზემოხსენებულ თანამშრომელთა მხრიდან გამოვლენილი დამოკიდებულება ვერ შეუწყობს ხელს პენიტენციურ სისტემაში ადამიანის უფლებების ეფექტიან დაცვასა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიმართ საზოგადოებაში ნდობის განმტკიცებას. აღნიშნული ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში, დეესკალაციის ოთახში განთავსების პროცესში, პატიმართა უფლებრივი მდგომარეობა ილახება და ხშირად, აღნიშნული ღონისძიების გამოყენება მათი დასჯის მიზანს ემსახურება, რაზეც სახალხო დამცველი საუბრობს საპარლამენტო ანგარიშებში.

ამრიგად, წინამდებარე საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და კანონმდებლობის ანალიზის შედეგად მიგვაჩნია, რომ: 1) N6 პენიტენციური დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ინსპექტორ-კონტროლიორებმა, [REDACTED] და [REDACTED], დეესკალაციის ოთახში განთავსების შემდეგ, შესაბამის დოკუმენტაციაში [REDACTED] მდგომარეობის შესახებ განზრახ შეიტანეს არასწორი ინფორმაცია, რითიც შექმნეს მის მიმართ შესაბამისი უსაფრთხოების ღონისძიების მაქსიმალური ვადით გაგრძელების საფუძველი. 2) დეესკალაციის ოთახში მოთავსებისას და აღნიშნული ღონისძიების დასრულებისთანავე, [REDACTED] არ შეუმოწმებია სამედიცინო პუნქტის თანამშრომელს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით, დაიწყოს დისციპლინური საქმისწარმოება N6 პენიტენციური დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ინსპექტორ-კონტროლიორების, [REDACTED] ასევე, N6 პენიტენციური დაწესებულების სამედიცინო პუნქტის იმ მორიგე თანამშრომლების მიმართ, რომლებიც სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ [REDACTED] დეესკალაციის ოთახში განთავსებისა და მის მიმართ ხსენებული ღონისძიების გამოყენების შეწყვეტის დროს და პასუხისმგებლები იყვნენ პატიმრისთვის სამედიცინო შემოწმების დაუყოვნებლივ ჩატარებაზე.

ამავე საქმისწარმოების ფარგლებში, გთხოვთ, გამოიკვლიოთ ის გარემოებაც, ხსენებული პირების მიერ აღწერილი ქმედება იყო თუ არა ჩადენილი ხელმძღვანელი პირების მხრიდან შესაძლო უკანონო დავალების მიცემის შედეგად.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული წინადადების განხილვის შედეგები აცნობოთ საქართველოს სახალხო დამცველს „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

თამარ გვარამაძე

მ. 

სახალხო დამცველის მოვალეობის შემსრულებელი

